ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 890 20-33-05
877 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №135

24 მაისი 2013 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის "კურორტი ბახმაროსათვის" (ს/კ - 441993648) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილებით დამტკიცებული „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესი"-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმარო"-ს (ს/კ - 441993648) უსასყიდლო სარგებლობის უფლებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 ერთეული მოძრავი ქონება დანართის მიხედვით, საერთო ღირებულებით - 26 593.23 (ოცდაექვსი ათას ხუთასოცდაცხრამეტი და ოცდასამი) ლარი.
2. სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს გადაცემული ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმარო"-ს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისათვის გამოყენება და მისი მოვლა-პატრონობა.
3. მუნციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თხოვების ფორმით.

4. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თ. ჯინჭარაძე) მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართი: ჭავჭავაძის ქ. №4.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმარო“-ს (ს/კ - 441993648) 2013 წლის 14 მაისის №1 წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი

№	მარკა, მოდელი, ტიპი	გამოშვების წელი	სარეგისტრაციო ნომერი	ძრავის ნომერი	შასის ნომერი	ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა	საბალანსო ღირებულება (ლარი)
1	,,ივეკო ოტოიოლი”	2004	OBO729	-	-	LV0010888	3000
2	ექსკავატორი ,,ამკოდოდრი 702 EB”	2007	CA538	-	Y3A702 EB1007 0013	LV0008117	23 593.23
	სულ:						**26 593.23**